AGRO NEWS GEORGIA

კახეთის ატმის კრიზისი ახლოვდება

ატმის მოსავლის აღება დაიწყება 2 კვირაში. ხელისუფლებამ უნდა მოაგვაროს ფერმერების პრობლემები ამ მოკლე პერიოდში, წერს გაზეთი. როგორც კახეთის ფერმერები აცხადებენ, ატმის მოსავალი წელსაც კარგია, მაგრამ „ყველაფერი გაურკვეველია" გაყიდვის თვალსაზრისით. ამჟამად საბითუმო ფასი ადრეულ ატამზე 0,80 ლარია 1 კგ-ზე, შარშან კი უფრო მაღალი იყო. როგორც ფერმერი გიორგი ნატროშვილი აცხადებს, „გამოსავალი ატმის ექსპორტია", მაგრამ აზერბაიჯანის საბაჟო ქმნის ხელოვნურ პრობლემებს. იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის ბაზარი გაიხსნება, „ტრანსპორტირების საკითხი უნდა გადაწყდეს სასწრაფოდ", ამბობს ის და დასძენს: „როგორც ვიცი, არსებობს გეგმები ატმის შეძენის პუნქტების გახსნის თაობაზე. თუმცა, ამაზე კონკრეტულმა ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს". ნატროშვილის თქმით, „ატმის მიტანა შემსყიდველ პუნქტამდე მარტივი ამოცანაა მცირე ფერმერებისთვის, მაგრამ ეს უფრო რთულია მსხვილი ფერმერებისთვის, რადგანაც დაკავშირებულია დამატებით ხარჯებთან". „ჩვენ ვთხოვთ ხელისუფლებას ორგანიზება გაუკეთოს ატმის რეალიზაციას, რათა თავიდან ავიცილოთ გასული წლის პრობლემების განმეორება", აცხადებს იგი. ივნისის ბოლოს, ცხადი გახდება, თუ გაიხსნება რუსული ბაზარი ქართული ატმისთვის, წერს გაზეთი.

ECONOMIC PRESS MONITOR, 10 ივნისი, 2014

70 კომპანია მიიღებს მონაწილეობას „ვინექსპო - საქართველო 2014"-ში

ღვინის და ალკოჰოლური სასმელების მე-7 საერთაშორისო გამოფენა „ვინექსპო საქართველო 2014" დღეს თბილისში საგამოფენო ცენტრ „ექსპოჯორჯიაში“ გაიხსნა. ღონისძიება, რომელიც გაგრძელდება 8 ივნისამდე, ორგანიზებულია „ექსპოჯორჯიას“ და ღვინის ეროვნული სააგენტოს მიერ, ხოლო მისი მხარდამჭერები არიან სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს ღვინის ასოციაცია. დაახლოებით 70 კომპანია საქართველოდან, ასევე ბულგარეთის, ჩინეთის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის და უკრაინის კომპანიები წარადგენენ პროდუქციას წელს. გამოფენის ფარგლებში გაიმართება ღვინის მე-6 საერთაშორისო კონკურსი OIV-ის (ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაცია) სტანდარტების შესაბამისად. გარდა ამისა, საფერავის ექსკლუზიურ ჭიქას შეარჩევს გეორგ რიდელი - მინის მწარმოებელი ავსტრიული საწარმოს მფლობელი - ქართველ მეღვინეებთან, სომელიეებთან და ექსპერტებთან ერთად.

Daily News, 6 ივნისი, 2014

საქართველოსა და უკრაინის აგროსამრეწველო თანამშრომლობის ჯგუფის მე-11 სესია კიევში გაიმართა

საქართველოსა და უკრაინის აგროსამრეწველო თანამშრომლობის ჯგუფის მე-11 სესია კიევში გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დელეგაციის ვიზიტის ფარგლებში უკრაინაში. უკრაინის აგრარული პოლიტიკის და სურსათის მინისტრ იგორ შვაიკასთან შეხვედრაზე განიხილეს სოფლის მეურნეობის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის გაფართოების პერსპექტივები, განაცხადა მინისტრის მოადგილე ოთარ დანელიამ. „მიგვაჩნია, რომ მეცხოველეობა, მეფრინველეობა, ფქვილის და მარცვლეულის წარმოება და მეღვინეობა არის ის მიმართულებები, რომლებშიც ჩვენ ქვეყნებს რეალური თანამშრომლობის გაღრმავების პერსპექტივა აქვთ", განაცხადა დანელიამ, და ხაზი გაუსვა, რომ საუბარი ასევე ეხებოდა ქართული ხილისა და ციტრუსის ექსპორტს უკრაინაში. ვიზიტის ფარგლებში საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო გამოფენაში „აგრო 2014".

Daily News, 6 ივნისი, 2014

პირველი ყავის საწარმო გაიხსნა საქართველოში

ყავის ქარხანა „ჩერის“, ყავის პირველი სამრეწველო საწარმოს საქართველოში, პრეზენტაცია გაიმართა თბილისში. ინვესტიციები საწარმოში 4,5 მილიონი ლარია. ბრაზილიაში, კოლუმბიაში და ა.შ. მოყვანილი მწვანე ყავის მარცვალი შემოდის ევროპიდან. კომპანიის გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ლომთათიძემ განაცხადა, რომ პროდუქცია გადის ყველა საჭირო შემოწმებას და სერტიფიცირების პროცედურებს მომწოდებელის და სურსათის ეროვნული სააგენტოს მხრიდან. საწარმო აღჭურვილია გერმანული Probat-Werke-ს აპარატურით. „იმ შემთხვევაში, თუ საწარმო სრული დატვირთვით იმუშავებს, ჩვენ შევძლებთ ბაზრის 60%-ის დაკავებას", განაცხადა ლომთათიძემ. „ჩერიში“ განაცხადეს, რომ ამჟამად აწარმოებენ ორი დასახელების ყავას: „ჩერი კლასიკური“ („არაბიკას“ ნაზავი) და „ჩერი ორიგინალი“ (აზიის „რობუსტას“ და სამხრეთ ამერიკის „არაბიკას“ ნაზავი). 100 გ „ჩერი კლასიკურის“ პაკეტის საშუალო ფასი შეადგენს 3,50 ლარს, ხოლო „ჩერი ორიგინალის“ – 2,50 ლარს. სამომავლო გეგმები მოიცავს წარმოების გაფართოებას და 12 დასახელების ყავის გამოშვებას. კომპანია ასევე გეგმავს პროდუქციის გატანას ექსპორტზე. კომპანია „ჩერი“ შეიქმნა 2012 წლის მარტში. კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია გენერალური დირექტორი ირაკლი ლომთათიძე.
DAILY NEWS, 5 ივნისი, 2014

სასათბურე მეურნეობა მცხეთის რაიონში აუქციონზე არის გატანილი
სასათბურე მეურნეობა მცხეთის რაიონის სოფ. წეროვანში (მცხეთა-მთიანეთის რეგიონი) აუქციონზე გაიყიდება. აუქციონი დამთავრდება 6 ივნისს. საუბარია მეურნეობაზე 8 500 კვ. მ ფართობით, სათბურისთვის შესაფერისი ინფრასტრუქტურით, საერთო ფართით - 3-4 ჰა. მიმდინარე ფასი შეადგენს 4,3 მილიონ ლარს (დღგ-ს გარეშე). მყიდველმა უნდა შეინარჩუნოს ობიექტის პროფილი 5 წლის განმავლობაში შეძენის შემდეგ.
DAILY NEWS, 4 ივნისი, 2014

პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დაიწყო
სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ დღეს დაიწყო. მის ფარგლებში 46 მილიონი ლარი დაიხარჯება სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაზე. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი - გიორგი კვირიკაშვილი ამბობს თავის საგაზეთო ინტერვიუში, რომ პროგრამა გათვალისწინებულია მხოლოდ ახალი საწარმოების გახსნაზე. „დაინტერესებული მეწარმე მიიღებს 1 ლარად უძრავ ქონებას, თუმცა ინვესტიცია თბილისში 6-ჯერ უნდა აღემატებოდეს გადაცემული ქონების საბაზრო ღირებულებას, ხოლო რეგიონებში - 4-ჯერ", აცხადებს მინისტრი. ამასთან, წარმოება უნდა დაიწყოს უკვე 2 წლის შემდეგ საკუთრების გადაცემიდან. გარდა ამისა, უძრავი ქონების გადაცემა მოითხოვს უპირობო და შეუქცევადი გარანტიის წარდგენას, რომელიც გაცემულია საქართველოს ბანკის მიერ დაგეგმილი ინვესტიციის მოცულობის 10%-ის ოდენობით. მიმდინარეობს მოლაპარაკებები ყველა ქართულ ბანკთან, შეირჩა 10 მათგანი, რომლებიც უკვე ჩართული არიან პროგრამაში, აცხადებს კვირიკაშვილი.
ECONOMIC PRESS MONITOR, 2 ივნისი, 2014

მერაბიშვილის კლანი კვლავ აკონტროლებს ხორბლის ბაზარს
საქართველოს მეწისქვილეთა ასოციაციის ინფორმაციით, „კარატ ჰოლდინგი“ (მფლობელია ასაბილ კასუმოვი, აზერბაიჯანის მილი მეჯლისის დეპუტატი) ფლობს დაახლოებით 70%-ს ადგილობრივი ფქვილის ბაზარზე და ელევატორების თითქმის 90%-ს საქართველოში (გარდა ფოთისა). „კარატ ჰოლდინგის“ ოთხივე ქარხანას შეუძლია 1 200 ტ ხორბლის გადამუშავება დღეში, რაც სრულად აკმაყოფილებს ქვეყნის ყოველდღიურ მოხმარებას. ფქვილის ქარხანა „პროგრესის“ დირექტორი დემურ ქურდაძე აცხადებს, რომ „კარატ ჰოლდინგი“ კონკურენტებს ებრძვის უსამართლო მეთოდების მეშვეობით და მათ გაკოტრებას ცდილობს. 70 ქარხნიდან მხოლოდ 12-13 ფუნქციონირებს ბაზარზე, ხოლო აზერბაიჯანული კომპანია ამცირებს ფასებს მისი ნების მიხედვით. რაც შეეხება სტატიის სათაურს, გაზეთი მხოლოდ წერს, რომ „აზერბაიჯანული სქემა, შექმნილი პურის წარმოებაში ნაციონალური მოძრაობის საფარქვეშ, ჯერ კიდევ მუშაობს", თუმცა არ აზუტებს, როგორ აკონტროლებს ხორბლის ბაზარს „მერაბიშვილის კლანი" (ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი) (გამოქვეყნდა 29 მაისს).

Jammy Green-ის ორგანული ბოსტნეული

Jammy Green გთავაზობთ ორგანულ ბოსტნეულს და სალათს: ცუკინი ზუბოდა (მწვანე); ცუკინი ვაით ბუში (ღია მწვანე); წითელი მანგოლდი; რუკოლა; ამერიკული ყავისფერი სალათი; ცუკერჰათი/ციკორიენსალათი; რედ ჯაიანთი, ჩინური კომბოსტო მდოგვის გემოთი; ბორეჩის მცენარე სუპისთვის. მცირე შეკვეთები მიწოდებულ იქნება ოთხშაბათს და შაბათს ან მოთხოვნით. დაგვიკავშირდით ელენა +995599545221 და იოჰანი +995558147907; www.jammy-green.de.

რა პირობებით შევა ქართული სოფლის მეურნეობის პროდუქტები რუსეთის ბაზარზე

ზურაბ ლიპარტია, სურსათის ეროვნული სააგენტოს ფიტოსანიტარიის დეპარტამენტის უფროსი, აცხადებს, რომ დაახლოებით 20 პუნქტი, სადაც მიღებული იქნება პროდუქცია რუსეთში ექსპორტზე, იქნება მზად, სავარაუდოდ, 15 ივნისს. ამასთან უნდა აღინიშნოს, 900 და 300 ტ მაცივრები იმოქმედებს გურჯაანის რაიონში (კახეთის რეგიონი), სადაც კახეთის მოსახლეობის მიერ აღებული ატმის მოსავალი შეიძლება შენახული და მომზადებული იქნას ექსპორტისთვის, ვკითხულობთ სტატიაში. სტატიაში გვაცნობებენ, რომ ექსპორტს დასჭირდება მოსავლის აღება, შეფუთვა და შენახვა ევროპული სტანდარტების შესაბამისად, რუსეთში სადისტრიბუციო კომპანიის მოძიება, ხელშეკრულების გაფორმება, რომლის მიხედვითაც, რუსული მხარე მიიღებს ქართულ პროდუქციას და გაუშვებს სავაჭრო ქსელებში. ჟურნალი აღნიშნავს, რომ დაბალი ფიტოსანიტარიული რისკის პროდუქცია (ჩაი, ყავა, გამხმარი ბოსტნეული, გამხმარი ხილი და სანელებლები) დაუშვეს რუსეთის ბაზარზე 28 ივნისს, 2013 წელს. 2013 წლის ოქტომბერში დაშვებულ იქნა მაღალი ფიტოსანიტარული რისკის გარკვეული პროდუქტებიც (თხილი, ციტრუსი, ყურძენი, ვაშლი, კომში, მსხალი), ხოლო ამ ჯგუფის დარჩენილი ნაწილი (პომიდორი, კიტრი, კომბოსტო, ბადრიჯანი, ალუბალი, გარგარი, ატამი, ტყემალი, ხურმა, კივი, კენკრა და ახალი კარტოფილი) დაუშვეს ამ წლის 26 მაისიდან. გარდა ამისა, საკალმახე მეურნეობების თევზის ექსპორტის საკითხზე პოტენციური თანამშრომლობა განხილულ იქნა რუსულ მხარესთან. თუმცა, სურსათის უვნებლობის სამსახურის ეროვნული სააგენტოს პრეს-სამსახურმა განუცხადა ჟურნალს, რომ მხოლოდ მოლაპარაკებები მიმდინარეობს და არაფერია გარკვეული ჯერჯერობით (გამოქვეყნდა: 29 მაისს, 21:32).

ECONOMIC PRESS MONITOR, 30 მაისი, 2014

სოფლის მეურნეობის სამინისტრო: 400 მლნ ლარი გაიცა შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ინფორმაციით, მაისისთვის სულ კრედიტების სახით გაიცა 400 მილიონი ლარი 17 000 ბენეფიციარზე შეღავათიანი აგროსესხების პროგრამის ფარგლებში. 409 საწარმოდან, რომლებიც ფინანსდება პროგრამის ფარგლებში, 63 ახლადშექმნილია. სამინისტროში ასევე განაცხადეს, რომ 800 000 ბენეფიციარი ისარგებლებს ამ წელს კიდევ ერთი პროგრამის ფარგლებში - დახმარება მცირემიწიანი ფერმერების საგაზაფხულო სამუშაოებისთვის. სამინისტროს ანგარიშის თანახმად, 2013-2014 წელს განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოების თაობაზე „710 385 ბენეფიციარმა მიიღო 195,54 მილიონი ლარი, 207 332 ჰა მიწის ფართობი დამუშავებულ იქნა" ამ პროგრამის ფარგლებში.

Daily News, 27 მაისი, 2014

მსოფლიო ბანკი გამოყოფს 50 მლნ აშშ დოლარს მიწის ბაზრის განვითარების პროექტისთვის საქართველოში

მსოფლიო ბანკის დირექტორთა საბჭომ ცოტა ხნის წინ დაამტკიცა 50 მლნ აშშ დოლარის გამოყოფა IDA-ს (საერთაშორისო განვითარების ასოციაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრი) მეშვეობით მიწის ბაზრის განვითარების და ირიგაციის პროექტისთვის საქართველოში. მსოფლიო ბანკის ჯგუფის განცხადებით, ეს პროექტი შედგება სამი კომპონენტისაგან: საირიგაციო და სადრენაჟო სისტემების გაუმჯობესება, მიწის ბაზრის განვითარების და პროექტის მენეჯმენტი. მოსალოდნელია, რომ პროექტის განხორციელების შემდეგ დაახლოებით

31 000 სოფლის ოჯახი, რომლებიც ამუშავებენ 26 000 ჰა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობს, მიიღებს უშუალო სარგებელს გაზრდილი პროდუქტიულობის შედეგად. გარდა ამისა, დაახლოებით 19 000 ოჯახი, რომლებიც ფლობენ არარეგისტრირებულ მიწის ნაკვეთებს პროექტისთვის შერჩეულ საპილოტე რაიონებში, მიიღებენ მათი რეგისტრაციის შესაძლებლობას. საქართველო მსოფლიო ბანკის წევრი გახდა 1992 წელს. მას შემდეგ 57 პროექტი განხორციელდა ქვეყანაში, რომელთა საერთო ღირებულება 1,95 მილიარდ აშშ დოლარს აღემატება. მიმდინარე პორტფელი მოიცავს 7 საინვესტიციო პროექტს საერთო ღირებულებით - 600 მლნ აშშ დოლარი.
Daily News, 27 მაისი, 2014

მაკდონალდსის რესტორანი აშენდება გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე
მთავრობის დადგენილების თანახმად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი გლდანი-დიღმის შემაერთებელ გზაზე თბილისში, გადაეცემა საკუთრებაში შპს T & K რესტორნებს (მაკდონალდსის რესტორნების ქსელის მფლობელი საქართველოში) პირდაპირი მიყიდვის წესით. შპს-მ უნდა გადაიხადოს 150 000 ლარი ამ 1 800 კვ. მ მიწის ნაკვეთისთვის 30 თვის განმავლობაში შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ. მაკდონალდსის სწრაფი კვების რესტორანი უნდა აშენდეს აღნიშნულ ტერიტორიაზე. საბოლოო ჯამში, მინიმუმ 3,5 მილიონი ლარის ინვესტიცია უნდა გაკეთდეს (მათ შორის, არანაკლებ 1 მილიონი ლარი 12 თვის განმავლობაში შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ). მაკდონალდსის სწრაფი კვების რესტორნის აშენებიდან 1 თვის შემდეგ, მინიმუმ 100 კაცი დასაქმდება არანაკლებ 2 წლის ვადით. ხელშეკრულების დადებამდე, T & K რესტორნები ვალდებულია წარადგინოს უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტია დაგეგმილი ინვესტიციის (3,5 მილიონი ლარი) არანაკლებ 10%-ის ოდენობით, რომლის ვადა უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების პერიოდს 3 თვით. შეგახსენებთ, რომ მაკდონალდსის რესტორნები თბილისში მდებარეობს რუსთაველის გამზირზე, მარჯანიშვილის ქუჩაზე, დიდუბეში და საბურთალოზე.
DAILY NEWS, 28 მაისი, 2014

მეცხოველეობის ფერმა ამოქმედდება სიღნაღის მუნიციპალიტეტში
მთავრობის დადგენილების საფუძველზე 732 501 კვ. მ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი არსებული შენობებით სიღნაღის მუნიციპალიტეტში (კახეთის რეგიონი) გაიცემა 10 წლიანი იჯარით კერძო პირ გიორგი ბოლგაშვილზე. წლიური საიჯარო საფასური შეადგენს 7 760 ლარს. მოიჯარემ უნდა მოაწყოს 3 წლის განმავლობაში შესაბამისი ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ, სანაშენე ფერმა აღნიშნულ მიწაზე, რომელიც გათვლილი იქნება მინიმუმ 200 ცხვარზე და მსხვილფეხა საქონელზე. ამ პერიოდის განმავლობაში, ბოლგაშვილმა უნდა განახორციელოს 100 000 ლარის ინვესტიცია და დაასაქმოს მინიმუმ 5 ადამიანი ყოველწლიურად. გარდა ამისა, ბოლგაშვილი ვალდებულია წარადგინოს წარადგინოს უპირობო და შეუქცევადი საბანკო გარანტია დაგეგმილი ინვესტიციის არანაკლებ 10%-ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა უნდა აღემატებოდეს საინვესტიციო ვალდებულების ვადას მინიმუმ 2 თვით. მთავრობას აქვს უფლება გადახედოს ქირავნობის საფასურს 5 წელიწადში ერთხელ დადგენილების თარიღიდან, ხოლო იჯარის ვადის გაგრძელება შესაძლებელია 10 წლით მოიჯარის მოთხოვნის საფუძველზე.
DAILY NEWS, 28 მაისი, 2014

ბიომეურნეობის თემაზე გამოცდილების გაზიარება საქართველოსა და აზერბაიჯანის არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის
ქართულმა არასამთავრობო ორგანიზაციამ - ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაციამ „ელკანა“ - უმასპინძლა აზერბაიჯანის არასამთავრობო ორგანიზაციის „აგრო საინფორმაციო ცენტრი“ (AIM) 5 დღიან სასწავლო ტურს. სასწავლო ტური ჩატარდა გამოცდილების გაზიარების მიზნით ბიომეურნეობის განვითარების სფეროში საქართველოში აზერბაიჯანელ კოლეგებთან და მათი თეორიული და პრაქტიკული ცოდნის გაფართოებისთვის ორგანულ სოფლის მეურნეობაში. ამჟამად AIM ახორციელებს ადაპტაციის მეორე ეტაპს Brotfür Die Welt (BfdW)-ის (გერმანია) მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში. პროექტი ფოკუსირებულია კონსერვაციასა და

ორგანულ ფერმერულ პრაქტიკაზე და შეიცავს ადვოკატირების კომპონენტს მცირე ფერმერებისთვის. EED (ამჟამად BfdW)-ს მხარდაჭერით „ელკანა“ უკვე დიდი ხანია მუშაობს ყველა ამ მიმართულებით და შეიძინა დიდი გამოცდილება ამ სფეროებში. AIM-ის ორი თანამშრომელი და სამი აზერბაიჯანელი ფერმერი მონაწილეობდა სასწავლო ტურში. გარდა ამისა, „ელკანას“ მიერ ორგანიზებულ გაცნობით და გამოცდილების გაზიარების სემინარებში მონაწილეებმა მოინახულეს სხვა ორგანიზაციები, რომლებიც ჩართულია ორგანული და გარემოს დაცვის საკითხებში - CENN, „ბიო აგრო", „კავკას სერტი", „მომავლის ფერმერი" და რეგიონული საინფორმაციო ცენტრი მარნეულში. მაგრამ ყველაზე პროდუქტიულია უკვე საველე ვიზიტები, ორგანიზებული საქართველოს სამ რეგიონში - სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი და შიდა ქართლი, სადაც სასწავლო ტურის მონაწილეებს „ელკანას“ კონსულტანტების ხელმძღვანელობით საშუალება ჰქონდათ არა მხოლოდ ესაუბრათ ფერმერებთან, რომლებიც ჩართული არიან ორგანული სოფლის მეურნეობის სხვადასხვა სექტორში, არამედ დარჩენილიყვნენ ღამით ელკანას წევრი ფერმერების სოფლის ტურიზმის საცხოვრებელ სახლებში, გაცნობოდნენ „ელკანას“ სოფლის ტურიზმის ქსელს და გაცნობოდნენ აგრარული მრავალფეროვნების სადემონსტრაციო ნაკვეთს სოფ. წნისში, სამცხე-ჯავახეთში. სასწავლო ტურის დასრულების შემდეგ AIM და „ელკანა“ შეთანხმდნენ მომდევნო გაცვლითი ვიზიტის ჩატარებაზე აზერბაიჯანში. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ: advocacy(at)elkana.org.ge

AGRO NEWS ARMENIA

ევროკავშირი 25 მილიონ ევროს ჩადებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში სომხეთში

ევროკავშირის მიერ გამოყოფილი იქნება 25 მლნ ევრო სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის სომხეთში, აქედან 20 მილიონი უზრუნველყოფილი იქნება საბიუჯეტო დახმარების სახით, ხოლო 5 მილიონი ტექნიკური დახმარებისთვის. ამის შესახებ ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელმა სომხეთში, ელჩმა ტრაიან ჰრისტიმ ისაუბრა სამუშაო კონსულტაციის „სტაბილურობიდან განვითარებისკენ" დროს. მან იმედი გამოთქვა, რომ ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამები ხელს შეუწყობს სოფლის მეურნეობის განვითარებას. „სოფლის მეურნეობა სომხეთის ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი დარგია. სწორედ ამიტომ ჩვენ მივესალმებით იმ ფაქტს, რომ სომხეთის მთავრობამ მიიღო სტრატეგია მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქალის როლი ამ სფეროს განვითარებაში, რადგან სოფლად მამაკაცები ხშირად დადიან საზღვარგარეთ სამუშაოდ და ქალები ჩართული არიან სოფლის მეურნეობაში", - "Armenpress"-ის ცნობით განაცხადა ჰრისტიმ. სომხეთის რესპუბლიკის ტერიტორიული ადმინისტრაციის მინისტრმა არმენ გევორქიანმა ასევე ხაზი გაუსვა, სოფლის მეურნეობის განვითარების აუცილებლობას და აღნიშნა, რომ ქვეყნის კეთილდღეობა და პროგრესი შეუძლებელია განვითარებული სოფლის მეურნეობის გარეშე. „მომავალ წლებში ჩვენი ცოდნის ინვესტირებას მოვახდენთ, რათა მივაღწიოთ თვალსაჩინო პროგრესს ამ სფეროში. სოფლის მეურნეობა არ არის მხოლოდ ეკონომიკის დარგი ჩვენთვის, ის ასევე უზრუნველყოფს მოსახლეობის დაბალანსებულ განვითარებას, დასაქმებას და სხვა მნიშვნელოვანი ფუნქციებიც გააჩნია"- განაცხადა გევორქიანმა.

ARMENPRESS, 30 მაისი, 2014

სომხეთის სოფლის მეურნეობის მთლიანი ამონაგები იზრდება 7,1%–ით 918,6 მილიარდ დრამამდე 2013 წელს

სომხეთის სოფლის მეურნეობის მთლიანმა ამონაგებმა შეადგინა 918,6 მილიარდი დრამი (2,2 მილიარდი) 2013 წელს - 7,1% ზრდა წინა წელთან შედარებით - განაცხადა ფინანსთა მინისტრის მოადგილემ და მთავარმა ხაზინადარმა ატომ ჯანჯუღაზიანმა შაბათს 2013 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის წარდგენის დროს პარლამენტში. „სოფლის მეურნეობაზე დახარჯული იყო 9,3 მილიარდი დრამი (22,5 მილიონი) და ბიუჯეტის შესრულება დაფიქსირდა 83,7%-ით," განაცხადა მან და დასძინა, რომ სამინისტროს ხარჯები გაიზარდა 2,5%–ით 2013 წელს. მისი თქმით, 634,5 მილიონი დრამი (1,5 მილიონი აშშ დოლარი)

დაიხარჯა ფერმერების სესხების ინტერესების სუბსიდირებაზე 2013 წელს - 9,8%–ით მეტი, ვიდრე 2012 წელს. ანგარიშის მიხედვით, 2,66 მილიონი აშშ დოლარი დაიხარჯა პირუტყვის და ფრინველის ვაქცინაციაზე. ჯანჯუღაზიანმა ასევე აღნიშნა არასაბიუჯეტო დაფინანსება. კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის მიერ გათვალისწინებული იყო 359 მილიონი დრამი (869 000 აშშ დოლარი) და ოპეკის საერთაშორისო განვითარების ფონდის მიერ კი – 2,3 მილიარდი დრამი (5.5 მლნ აშშ დოლარი) სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის. გარდა ამისა, 1,4 მლრდ დრამი (3,4 მილიონი აშშ დოლარი) სესხად აიღეს მსოფლიო ბანკისგან საძოვრების გაუმჯობესების მიზნით. *Arka, 31 მაისი, 2014*

სომხეთი გეგმავს თანამშრომლობას შვეიცარიასთან სოფლის მეურნეობის დარგში
სომხეთი გაიზიარებს შვეიცარიის გამოცდილებას სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამ მიზნით სომხეთის სოფლის მეურნეობის მინისტრმა სერგო კარაპეტიანმა სომხეთის მთავრობას წარუდგინა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას სოფლის მეურნეობის დარგში სომხეთის მთავრობასა და შვეიცარიის ფედერალურ საბჭოს შორის. შეთანხმება განიხილება მთავრობის სხდომაზე 29 მაისს. თუ დოკუმენტი დამტკიცდა სომხეთის მთავრობის და შვეიცარიის ფედერალური საბჭოს მიერ, შეთანხმება უზრუნველყოფს თანამშრომლობას სომხეთსა და შვეიცარიას შორის მემცენარეობაში, მეცხოველეობასა და რძის წარმოებაში.
PANORAMA.AM, 29 მაისი, 2014

ტენდერები და განცხადებები

ტენდერი ტრენინგის ჩატარებაზე
კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN) გეგმავს ყველის წარმოების კოოპერატივის გაფართოებას. ის დაარსდა პროექტის ***სოფელში მცხოვრები ქალები სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარებისთვის სამხრეთ კავკასიაში*** ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ავსტრიის თანამშრომლობის განვითარების ორგანიზაციის ფინანსური მხარდაჭერით. გთხოვთ, იხილოთ თანდართული ტექნიკური დავალების დოკუმენტი. განაცხადების მიღების ბოლო ვადა: 12.06.2014. დაწვრილებითი ინფორმაციის და წინადადებების წარდგენისთვის მიმართეთ: *kateryna.poberezhna (at) cenn.org*

გამოცემები და სხვა

PwC: სასოფლო-სამეურნეო მიწაზე შეზღუდვების ლიბერალიზაცია
PwC-მ გამოსცა უახლესი ბიულეტენი თემაზე: „სასოფლო-სამეურნეო მიწაზე შეზღუდვების ლიბერალიზაცია“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსური ბიულეტენი
ჩვენი წევრი Business & Finance Consulting (BFC) აქვეყნებს საქართველოს სოფლის მეურნეობის ფინანსურ ბიულეტენს საინტერესო თემებზე. 2014 წლის მაისის გამოცემას გაეცანით ამ მისამართზე.

http://agrogeorgia.blog.com/

სურსათის უვნებლობის და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო

Physikalisch-Technische Bundesanstalt-ს (PTB) და GIZ კერძო სექტორის განვითარების პროგრამა - სამხრეთ კავკასიის (PSD SC) ერთობლივი მხარდაჭერით გამოიცა სურსათის უვნებლობისა და ხარისხის სახელმძღვანელო - თხილის ნაწილი. სახელმძღვანელო მოიცავს ინფორმაციას სურსათის უვნებლობისა და ხარისხის შესახებ ღირებულებათა ჯაჭვის ყველა მონაწილისთვის - ფერმერები, მოსავლის ამღებები, გადამამუშავებლები და მოიცავს ინფორმაციას ხარისხის ინფრასტრუქტურის დაწესებულებებში ყველა ფუნქციის და სამსახურის შესახებ.

DWV Agro Blog

გთხოვთ იხილოთ ჩვენი **AGRO BLOG** სოფლის მეურნეობის და კვების დარგებში საჭირო ინფორმაციის მისაღებად. თუ თქვენ გაქვთ ინფორმაცია და გინდათ მისი გაზიარება AGRO BLOG-ზე, გამოაგზავნეთ მისამართზე agro@georgien.ahk.de

Agro & Food Up-to-Date

Agro & Food-ის ყოველდღიურად განახლებადი ინფორმაცია იხილეთ ჩვენს ვებსაიტზე.
http://georgien.ahk.de/georgien/newsletter/agro-food-news-georgia/
http://georgien.ahk.de/armenien/newsletter/agro-food-news-armenia/